<u>სახელმწიფო აუდიტის სამსახურის</u>

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნების

ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი, რომლის პერიოდშიც სამსახურის 9 თანამშრომელი აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესების მონიტორინგში.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საარჩევნო პერიოდში (14 აპრილიდან 22 ივლისის ჩათვლით) მიიღო 3742 წერილი, ხოლო სამსახურიდან გაიგზავნა 2288 წერილი.

2014 წლის არჩევნებში დარეგისტრირებული იყო 1143 საარჩევნო სუბიექტი, საიდანაც კანდიდატურების მოხსნის შემდგომ არჩევნების დღისათვის დარჩა 20 პოლიტიკური პარტია, 4 საარჩევნო ბლოკი, ხოლო 821 საინიციატივო ჯგუფი. აღნიშნულ პირებს 14 აპრილიდან მოყოლებული გააჩნდათ ვალდებულება 3 კვირაში ერთხელ წინასწარ გაწერილი გრაფიკით წარმოედგინათ 3 დეკლარაცია, ხოლო არჩევნების დასრულების შემდგომ ჯამური პერიოდის ფინანსური ანგარიში. ამასთან, მეორე ტურის დანიშვნიდან გამომდინარე წარმოიშვა ახალი დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება 15 ივნისიდან 12 ივლისამდე პერიოდისათვის, იმ პარტიებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ მეორე ტურში, ხოლო არჩევნების ორივე ტურის შემაჯამებელი გაერთიანებული დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება განისაზღვრა მეორე ტურის შეჯამებიდან 1 თვის ვადაში 22 აგვისტომდე.

ჯამში დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ წარმოდგენილია 3083 ინფორმაცია ან/და დეკლარაცია, რომლის მოცულობაც მხოლოდ დამოუკიდებელი კანდიდატების შემთხვევაში 50 000 ფურცელს სცდება.

არჩევნებისათვის მოსამზადებელ პერიოდში თებერვალი-აპრილის თვეებში ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა საარჩევნო საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნულის შედეგად გენერალური აუდიტორის ინიციატივით მიმდინარე წლის 22 აპრილიდან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო კომისია, რომელიც ყოველკვირეულად მართავდა შეხვედრებს.

კომისიის ფარგლებში განხილულ იქნა გენერალური აუდიტორის ექვსი ბრძანების პროექტი, რომლებმაც დაარეგულირა პოლიტიკურ ფინანსებთან და საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი თემა. უპირველესყოვლისა აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

გენერალური აუდიტორის 2014 წლის 23 აპრილის N76/37 ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით დარეგულირდა საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანი რამოდენიმე დეტალი, რომლის შესახებაც შესაბამისი ინფორმაცია წერილობით გაეგზავნა საარჩევნო კომისიებში რეგისტრირებულ ყველა სუბიექტს. გარდა აღნიშნული ახალი ნორმებისა საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს განცხადების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენისთანავე წერილობით ეგზავნებოდათ დეტალური ინფორმაცია მოქმედი რეგულაციებისა და საარჩევნო კაპმანიის ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა ქმედებების შესახებ.

ამასთან, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად იმართებოდა ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები, რომელზეც განიხილებოდა ნებისმიერი ფინანსური თუ პროცედურული საკითხები. ამასთანავე, საარჩევნო სუბიექტების ინფორმირების მიზნით ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა და პრეზენტაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. თბილისში ჩატარებული 6 საკონსულტაციო შეხვედრის გარდა, სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ დასავლეთ საქართველოს 4 რეგიონში, სადაც გაიმართა 6 შეხვერა. დაინტერესებულ პირებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაციების შესახებ.

პოლიტიკური ფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით სრული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა სამსახურის ცხელი ხაზი, რომელზეც შემოსულია **689 შეკითვა** და ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავი პასუხი აქვთ მიღებული. სამსახური შიდა ბაზების საშუალებით აღრიცხავს შემოსული შეკითვების სტატისტიკას. ასევე დასრულდა მუშაობა ავტომოპასუხის დაყენებაზე, რომელიც შეკითხვების დატოვების საშუალებას გვაძლევს 24 საათის განმავლობაში, რათა არცერთი შეკითვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი. დაინტერესებულ პირებს სამსახურის თანამშრომლებთან დაკავშირება ასევე შეუძლიათ სამსახურის სხვა კორპორატიულ თუ პირად ტელეფონის ნომრებზეც, რომლებზეც ამავე პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 1000 ზარამდე იქნა მიღებული.

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად განხორციელებულია **11 860 771** ლარის ხარჯი, კერძოდ:

- საარჩევნო ბლოკი ქართული ოცნება – 6,318,735 ლარი
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 2,435,792 ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა – 796 431 ლარი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 227,651 ლარი
- არასაპარლამენტო ოპოზიცია – 708,928 ლარი
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 47,804 ლარი
- ბლოკი თვითმმართველობა ხალხს - 352,207 ლარი
- საქართველოს გზა - 512,460 ლარი
- საინიციატივო ჯგუფები - 238,185 ლარი
- სხვა პარტიები - 222,576 ლარი

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად რეკლამისათვის გახარჯულია **5 236 083** ლარი, კერძოდ:

- საარჩევნო ბლოკი ქართული ოცნება – 3,202,445 ლარი
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 1,289,196 ლარი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 352,855 ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა – 188,334 ლარი
- არასაპარლამენტო ოპოზიცია – 80,884 ლარი
- საქართველოს გზა – 35,192 ლარი
- სხვა პარტიები – 87,177 ლარი

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამში მიღებულია **1 578 830** ლარის საბიუჯეტო შემოსავალი, კერძოდ:

- საარჩევნო ბლოკი ქართული ოცნება – **629,507** ლარი
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – **584,511** ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა – **82,809** ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია – **55,206** ლარი
- არასაპარლამენტო ოპოზიცია – **19,131** ლარი
- ბლოკი თვითმმართველობა ხალხს – **71,201** ლარი
- საქართველოს გზა – **52,176** ლარი
- ხალხის პარტია – **84,289** ლარი

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამში მიღებულია **3 801 850** ლარის მიზნობრივი დაფინანსება(მეორე ტურის ჩათვლით), კერძოდ:

- საარჩევნო ბლოკი ქართული ოცნება – **796,000** ლარი
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – **532,350** ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა – **532,350** ლარი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – **14,300** ლარი
- არასაპარლამენტო ოპოზიცია – **374,650** ლარი
- ბლოკი თვითმმართველობა ხალხს - **483,600** ლარი
- საქართველოს გზა - **362,350** ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული სახალხო პარტია - **374,650** ლარი
- ხალხის პარტია - **331,600** ლარი

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოწირულებების სახით ჯამში მიღებულია **6 578 822** ლარი, კერძოდ:

- საარჩევნო ბლოკი ქართული ოცნება – **5,266,701** ლარი
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – **299,383** ლარი
- ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა – **335,802** ლარი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – **237,351** ლარი
- არასაპარლამენტო ოპოზიცია – **11,143** ლარი
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია – **19,707** ლარი
- ბლოკი თვითმმართველობა ხალხს – **13,000** ლარი
- საქართველოს გზა – **82,706** ლარი
- საინიციატივო ჯგუფები – **238,185** ლარი
- სხვა პარტიები – **74,843** ლარი

არჩევნების პერიოდში სამსახურმა 5 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ, 2 ოქმი შემომწირველი იურიდიული პირების წინააღმდეგ, ხოლო 180 ოქმი დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებიც პერიოდულად გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. გარდა ამისა თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების მიზნით გაიგზავნა 3 ოქმი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ შემომწირველი ფიზიკური პირების წინააღმდეგ, ხოლო 1 ოქმი საარჩევნო ბლოკი “ქართული ოცნების“ კანდიდატის ბესიკ ნარმანიას წინააღმდეგ.

N	პირის დასახელება	შინაარსი	სანქცია (ლარი)
1	საქართველოს გზა	მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ)	2000
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ)	2000
3	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	შემოწირულებების შესახებ წარმოდგენის დარღვევა (შემოწირულება ნაღდი ფულით და დაგვიანება ფომა 10)	5000
4	შპს ჯეოსპირტპრომ	აკრძალული შემოწირულება (უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ)	40000
5	შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია	აკრძალული შემოწირულება (უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ)	40000
6	ბესიკ ნარმანია	აკრძალული შემოწირულების განხორციელება (სუბიექტის სასარგებლოდ სარეკლამო ხარჯი)	96
7	7 დამოუკიდებელი კანდიდატი	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	1000
8	146 დამოუკიდებელი კანდიდატი	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	შენიშვნა
9	26 დამოუკიდებელი კანდიდატი	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	შეწყდა
10	გრიგოლ ბარამიძე	აკრძალული შემოწირულების განხორციელება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის სასარგებლოდ	ვითხოვდით 72200 და შეწყდა
11	მანუჩარ ომანაძე	აკრძალული შემოწირულების განხორციელება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის სასარგებლოდ	ვითხოვდით 40000 და შეწყდა
12	ოთარ თავართქილაძე	აკრძალული შემოწირულების განხორციელება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის სასარგებლოდ	ვითხოვდით 30000 და შეწყდა
13	„დემოკრატიული მოძრაობა-სამართლიანი საქართველო“	აკრძალული შემოწირულების განხორციელება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის სასარგებლოდ	ვითხოვდით 40000 და შეწყდა
14	გრიგოლ გუმბერიძე (შპს მაკნატუნა)	აკრძალული შემოწირულების განხორციელება (სუბიექტის სასარგებლოდ საჩუქრების დარიგება)	4140 ლარი დაადასტურა საქალაქომ, მაგრამ შეწყდა აპელაციაში
15	მ.პ.გ. რეფორმატორები	დეკლარაციების წარმოუდგენლობა	შენიშვნა

სულ სამსახურში საარჩევნო პერიოდში შემოსული იქნა 12 საჩივარი, საიდანაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენით დასრულდა 2 საქმე, კერძოდ:

1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივრის საფუძველზე ჯარიმა იქნა შეფარდებულ საარჩევნო ბლოკი “ქართული ოცნების“ კანდიდატის ბესიკ ნარმანიას მიმართ;
2. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საჩვრის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იქნა შედგენილი დამოუკიდებელი კანდიდატის გრიგოლ გუმბერიძის მიმართ, შპს „მაკნატუნას“ მიერ განხორციელებული შემოწირულების დამალვასთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ იგი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება და შეწყვეტილ იქნა საქმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასრულებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მიმდინარე 204 ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი, რომელიც დაწყებული იყო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდში სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციისა და სხვადასხვა მესამე პირების მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სამსახური უფლებამოსილია დამატებითი ინფორმაციის მოძიების შემთხვევაში 6 წლის ვადაში დაიწყოს/განაახლოს მოკვლევა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, რათა მიღწეულ იქნას პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობისა და საარჩევნო კამპანიის ხარჯების სრული გამჭირვალობა.